თბილისის ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციის განცხადება „ადვოკატის პროფესიის შესახებ“ ევროპული კონვენციის მხარდასაჭერად

თბილისის 8-9 ნოემბრის ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ადვოკატები,

გამოკვეთენ რა, ხელისუფლების დანაწილებისა და სამართლის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიის განსაკუთრებულ როლს, მათ მიერ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და ადამინის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვით;

მხედველობაში იღებენ რა, ადვოკატების განსაკუთრებულ სტატუსს შეასრულონ დამაკავშირებელი ფუნქცია მოქალაქეებსა და სასამართლოს შორის და მათზე დაკისრებულ მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია სასამართლოსადმი საჯარო ნდობის გამყარებაში, რაც წარმოადგენს დემოკრატიურლი სახელმწიფოს და სამართლის უზენაესობის ფუნდამენტს;

მხედველობაში იღებენ რა, რომ ადვოკატები არიან სუბიექტები, ვინც პირდაპირ არიან ჩართულნი მართლმსაჯულების განხორციელებაში და ამიტომ ყოველგვარი გაუმართლებელი დაბრკოლებების გარეშე უნდა გააჩნდეთ გამოხატვის, აზრის, გადაადგილების, შეკრების და გაერთიანების თავისუფლება;

ისწრაფიან რა, რომ შექამნან ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელების გარანტიები, რათა გააძლიერდეს სამართლის უზენაესობა, რომელშიც ადვოკატები მონაწილებას იღებენ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის გზით;

აცნობიერებენ რა, სამართლიანი სასამართლოს საჭიროებას, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატთა დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც იქნება დაცული გაუმართლებელი შეზღუდვისგან, ზეწოლისგან, მუქარისგან თუ საქმიანობაში სხვა სახით ჩარევისგან, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ნებისმიერი ინსტიტუტისგან თუ პირისგან და ნებისმიერი საფუძვლით;

იაზრებენ რა, ადვოკატის განსაკუთრებულ ფუნქციას ყოველდღიურად დაიცვას ადამიანის უფლებები;

მხედველობაში იღებენ რა, კერძო ადვოკატების და ადვოკატთა ასოციაციების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას მართლმსაჯულების უკეთესი ადმინისტრირებისათვის და ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის დასაცავად;

აცნობიერებენ რა, ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებულ რისკებს სხვადასხვა სახელმწიფოებში, მათ შორის დისკრედიტაციის, შევიწროვების, მუქარის, თავდასხმის და ადვოკატის საქმიანობაში ჩარევის სხვა გაუმართებელი გზებით;

ცნობენ რა, რომ არსებული არამბოჭავი საერთაშორისო ინსტრუმენტები, მათ შორის, რეკომენდაცია N R (2000) 21 „ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელების შესახებ“, არ აღმოჩნდა სათანადოდ ეფექტიანი ადვოკატის უფლებათა დასაცავად;

მიაჩნიათ, რომ არსებული არამბოჭავი სამართლებრივი ინსტრუმენტები უნდა გარდაიქმნას მბოჭავი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტად კონვენციის სახით.

აღნიშნული კონვენციის მიზანი უნდა იყოს სამართლის უზენაესობის გაძლიერება და ადვოკატის პროფესიის დაცვა, გამომდინარე ადვოკატის უმნიშვნელოვანესი როლისა მართლმსაჯულების განხორციელებასა და ძირითადი უფლებების დაცვაში.

ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ადვოკატის პროფესიის შესახებ კონვენციის შემუშავებაში და მხარი დაუჭირონ მის მიღებას. ეს იქნება ადვოკატის საქმიანობის ყველა ასპექტის დაცვის, მათ შორის, პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას გაუმართლებელი ჩარევისაგან თავისუფლების, პროფესიული პრივილეგიების დაცვისა და კლიენტის თავუსუფლად არჩევის ეფექტიანი გარანტია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კონტროლის და სწრაფი რეაგირების მექანიზმებზე იმისათვის, რომ კონვენცია იყოს ქმედითი ინსტრუმენტი.

ამასთანავე, არა-წევრ სახელმწიფოებსაც უნდა ჰქონდეთ კონვენციასთან მიერთების უფლება.

თბილისი, საქართველო **9 ნოემბერი, 2018 წელი**